E 171
1945

უფასო

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებათა და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მერვე

№ 12 | Сборник приказов и Распоряжений НКПроса Груз. ССР | 1945 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 3095—დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლებში საზამთრო არდადეგებისა და მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირების ჩატარების შესახებ . . 2 გვ.
2. დადგენილება № 761—საქ. სახკომსაბჭოსი—საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სიმწიფის ატესტატის ნიმუშების შესახებ . . . . . 4 „
3. დებულება—წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის ოქროსა და ვერცხლის მედლების შესახებ . . . . 5 „
4. სიმწიფის ატესტატი (ნიმუში) . . . . . 6 „
5. ტიპიური შინაგანაწესი საბავშვო სახლების მუშაკთათვის . . 7 „
6. ინსტრუქცია—სახელმწ. პედაგოგიური სასწავლებლის დასამთავრებელ გამოცდის ექსტერნად ჩაბარების და პედმინიმუმის შესახებ . . . . . 24 „

თბილისი—1946 წ.

ბრძანება № 3095

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1945 წ. 6 დეკემბერი

დაწყებითი, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში საზამთრო არდადეგებისა და სასწავლებელთა საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირების ჩატარების შესახებ

ვბრძანებ:

1. დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების I-X კლასებში საზამთრო არდადეგები ჩატარდეს 29 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, სასწავლო მეცადინეობა კლასებში შეწყდეს 29 დეკემბერს, გაკვეთილების შემდეგ და განახლდეს 1946 წლის 10 იანვარს.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) არდადეგების პერიოდში მოსწავლეთათვის კულტურული დასვენებისა და ჯანსაღი გართობის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) სკოლებში მოაწყონ ბავშვთა სამხედრო თამაშობანი, ლაშქრობანი, სამხედრო შეჯიბრებანი და სხვა;

ბ) დაამყარონ კავშირი სანახაობათა დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და მოაწყონ კინოებსა და თეატრებში მოსწავლეთა კოლექტიური სვლა;

გ) თვით სკოლებში, პიონერთა და მოსწავლეთა კლუბებში მოაწყონ მხატვრული თვითშემოქმედების დილა-საღამოები, რომლებზედაც დემონსტრირებული იქნეს სამამულო ომის გმირთა თავდადებული ბრძოლის ამსახველი ეპიზოდები, წაკითხული იქნეს პატრიოტული ხასიათის მოთხრობები და ლექსები სადაც ეს მოსახერხებელია, მოეწყოს ბავშვთა გუნდების გამოსვლები.

3. ნება დაერთოს განათლების განყოფილებათა გამგეებს მთავარ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ჩაატარონ მეათე კლასების მოსწავლეთა შეკრებანი. ამ შეკრებაზე განიხილონ სიმწიფის ატესტატზე გამოცდებისათვის სამზადისისა და საგამოცდო საგნებში გავლილი მასალის განმეორების საკითხები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი.

4. რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში 1946 წლის 3 იანვარს ჩატარდეს მასწავლებელთა ერთდღიანი სარაიონო და საქალაქო თათბირები. თათბირებზე განხილული იქნეს ერთი საკითხი

—სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები და სკოლების ამოცანები.

ამ საკითხზე მოსენება გააკეთოს განათლების განყოფილების გამგემ. მომხსენებელმა დეტალურად უნდა გააშუქოს სასწავლო წლის 1-ლ ნახევარში სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის ყოველი მხარე, გამოავლინოს ცალკე მიღწევები და ნაკლი, განსაკუთრებით გაამახვილოს მასწავლებელთა ყურადღება სასწავლო მასალის განმეორების საკითხებზე. სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული კურსის მტკიცედ, ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისა და გამეორების საქმის შესაფერად მოწესრიგების მიზნით, მოხსენების შემდეგ მიღებული უნდა იქნეს კონკრეტული ღონისძიებანი.

5. საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ უზრუნველჰყოს ცალკე საგნებში გავლილი მასალის განმეორების შესახებ მითითებების დაბეჭდვა და 25 დეკემბრამდე ადგილებზე დაგზავნა.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო
კომისარი **ვ. კუპრაძე.**

დადგენილება № 761

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სიმწიფის ატესტატის ნიმუშების შესახებ

ოქროსა და ვერცხლის მედლების დებულების და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სიმწიფის ატესტატის ნიმუშის შესახებ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 30 მაისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სიმწიფის ატესტატის ნიმუში და განსაკუთრებული ატესტატის ნიმუშები ოქროსა და ვერცხლის მედალზე (თან ერთვის).

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებისას იხელმძღვანელოს სსრკ სახკომსაბჭოს 1945 წლის 30 მაისის დადგენილებით და თანდართული დებულებით „ოქროსა და ვერცხლის მედლის შესახებ“ წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1945 წლის 16 ივნისი.

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომ-
საბჭოს 1945 წლის 30 მაისს, № 1247
დადგენილებით.

დებულება

„წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ ოქროსა და ვერცხლის მედლების შესახებ

1. ოქროს მედლით „წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ დაჯილდოვდებიან ის პირები. რომლებმაც სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარებისას გამოიჩინეს განსაკუთრებული წარმატება და აქვთ სამაგალითო ყოფაქცევა და შეფასება „5“ საშუალო სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა ძირითად საგანში.

2. ვერცხლის მედლით „წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ ჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომლებიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარებისას გამოიჩენენ საუკეთესო წარმატებას, სამაგალითო ყოფაქცევისა არიან და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა ძირითად საგანში, გარდა სამისა, რომლებშიც უნდა ჰქონდეთ ნიშანი არანაკლებ „4“-სა. მიიღებენ „5“-ს; ამ სამი საგნის რიცხვში არ შეიძლება შედიოდეს მშობლიური ენა და ლიტერატურა.

3. ოქროსა და ვერცხლის მედალს „წარჩინებული სწავლის და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“, სკოლის პედაგოგიური საბჭოს წარდგენით, ანიჭებენ საოლქო, სამხარეო განათლების განყოფილებები, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატები და იმ მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისარიატები, რომელთაც არა აქვთ საოლქო დაყოფა.

მედალი, განსაკუთრებული სახის სიმწიფის ატესტატთან ერთად, სკოლის დირექტორის მიერ გადაეცემათ დაჯილდოებულებს გამოსაშვები გამოცდების დამთავრებისას საზეიმო აქტზე.

4. „წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულ პირებს უფლება აქვთ უგამოცდოდ შევიდნენ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში. ამასთან, პირველ რიგში მიიღებიან ოქროს მედლით დაჯილდოებულები, ხოლო შემდეგ—ვერცხლის მედლით დაჯილოებულები.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი

სიმწიფის ატესტატი

მიეცა ესე ატესტატი . . . . . დაბადებულს 19 . . . . წლის . . . . . ში მასზე, რომ ის 19 . . წელს შევიდა . . . . . საშუალო სკოლაში, დაამთავრა ამ სკოლის სრული კურსი სამაგალითო ყოფაქცევით და საგნებში გამოიჩინა შემდეგი წარმატება:

ქართული ენა	მსოფლიო ისტორია . . .
ქართული ლიტერატურა	საქართველოს ისტორია . .
რუსული ენა	სსრკ და საქართველოს სსრ
რუსული ლიტერატურა	კონსტიტუცია . . . . .
ალგებრა	გეოგრაფია . . . . .
გეომეტრია	ფიზიკა . . . . .
ტრიგონომეტრია	ასტრონომია . . . . .
ბუნებისმეტყველება	ქიმია . . . . .
სსრ კავშირის ისტორია	უცხო (. . .)ენა . . . .

„სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ივნისის № 750 დადგენილების საფუძველზე . . . . . დაჯილდოებულია ოქროს მედლით.

„წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ ოქროსა და ვერცხლის მედლების მინიჭების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1945 წლის 30 მაისს დამტკიცებული დებულების § 4 თანახმად ამ ატესტატის მფლობელს უფლება აქვს უგამოცდოდ შევიდეს სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

სკოლის დირექტორი:

დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში:

მასწავლებლები:

გაცემულია 19 . . . წლის „ „

№ . . . . ს წ ო რ ი ა:

ტიპიური შინაგანაწესი

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლების მუშაკთათვის

I. საერთო დებულებანი.

1. შრომა საბჭოთა კავშირში წარმოადგენს საამაყო და სასახელო საქმეს, საგმირო საქმეს.

მუშათა და მოსამსახურეთა შორის დისციპლინა საბჭოთა კავშირში დამყარებულია შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებაზე, დაკისრებული შრომითი მოვალეობის პატიოსნად, კეთილსინდისიერად და დროულად შესრულებაზე. მუშაკის პასუხისმგებლობითი დამოკიდებულებას შრომისადმი კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დიდი სამამულო ომის პირობებში.

2. შინაგანაწესი მიზნად ისახავს საბავშვო სახლში თითოეული მუშაკის მიერ მტკიცე რეჟიმის, შეგნებული დისციპლინის, სრული წესრიგის დამყარებას და სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

3. ეს შინაგანაწესი ტიპიურია სსსრ განსახკომის ყველა სასკოლო და სკოლამდელი საბავშვო სახლებისათვის.

4. მოცემული ტიპიური წესების საფუძველზე საბავშვო სახლის დირექტორი ადგენს თავისი დაწესებულების შინაგანაწესს საბავშვო სახლის მუშაობის პირობების შესაბამისად.

საბავშვო სახლის შინაგანაწესი უთანხმდება ადგილობრივ პროფორგანიზაციას.

5. საბავშვო სახლის დირექტორისა და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და შრომის ინსპექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი თითოეულ საბავშვო სახლში გამოიკვრის თვალსაჩინო ადგილას.

6. შინაგანაწესი სავალდებულოა საბავშვო სახლის ყველა მუშაკთათვის

7. შინაგანაწესის დარღვევა ან შეუსრულებლობა იწვევს სათანადო სასჯელის დადებას, რაც გათვალისწინებულია მოცემული ტიპიური შინაგანაწესის მე-4 ნაწილში.

8. საბავშვო სახლის ვერცერთი მუშაკი ვერ გაიმართლებს თავს შინაგანაწესის არცოდნით.

9. ახალი მომუშავის მიღებისას ან თანამშრომლის ერთი სამუშაო-

დან მეორეზე გადაყვანისას საბავშვო სახლის ადმინისტრაცია ვალდებულია თითოეულ მათგანს განუმარტოს მუშაობის წესი და გააცნოს საბავშვო სახლის შინაგანაწესი.

10. საბავშვო სახლის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) სწორად გაანაწილოს საბავშვო სახლის მუშაკთა შრომა მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით;

ბ) უზრუნველჰყოს მუშაკთა დროულად მომარაგება სასწავლო ნივთებით, ინვენტარით, ხელსაწყოებითა და მუშაობისათვის საჭირო სხვა მასალით;

გ) დაიცვას კანონები და წესები შრომის დაცვის, სამუშაო დროის, დასვენების;

დ) სისტემატურად გაატაროს ღონისძიებანი შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სათანადო პირობების შექმნისათვის შრომის ხარისხის ასამაღლებლად (მუშაკებისადმი ხელის შეწყობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში);

ე) მხედველობაში მიიღოს და ცხოვრებაში გაატაროს მუშაკთა რაციონალიზატორული წინადადებანი, რაც მიმართული იქნება საბავშვო სახლის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

11. გაუპიროვნების თავიდან ასაცილებლად საბავშვო სახლის თითოეულ მუშაკს უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო ადგილი. ჩაბარდეს ინვენტარი და მოწყობილობა, რაც მისთვის საჭიროა და პასუხისმგებელი იყოს ჩაბარებული ქონების მოვლა-დაცვისათვის.

II. საბავშვო სახლის მუშაკთა მილებისა და დათხოვნის წესი

12. საბავშვო სახლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საალმზრდელო დარგში, აღმზრდელებს და შრომის ინსტრუქტორს ნიშნავს, ანთავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში მათი განათლების სახალხო კომისარიატები კუთვნილებისამებრ, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში კი—განათლების საოლქო განყოფილება.

13. ექიმს და ექიმის თანაშემწეს ნიშნავს და ანთავისუფლებს ჯანმრთელობის განყოფილება.

14. საბავშვო სახლის ბუხჰალტერს იმ საბავშვო სახლებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, ნიშნავს და ანთავისუფლებს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ავტ. სს რესპუბლიკებში მათი განათლების

სახალხო კომისარიატი კუთვნილებისამებრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—კი განათლების საოლქო განყოფილება. იმ საბავშვო სახლებში, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან, ბუხჰალტერს ნიშნავს და ანთავისუფლებს რაიონის განათლების განყოფილება.

15. სამნეო ნაწილის გამგეს იმ საბავშვო სახლებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, ნიშნავს და ანთავისუფლებს საბავშვო სახლის დირექტორი განსახკომთან შეთანხმებით, ხოლო იმ საბავშვო სახლებში, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან, რაიონის განათლების განყოფილება.

16. განსახკომის მიერ დანიშნული პირი ადგილზე გამოცხადებისას ვალდებულია წარუდგინოს განათლების განყოფილებას და საბავშვო სახლის დირექტორს შემდეგი საბუთები: განსახკომის ბრძანება დანიშვნის შესახებ, შრომის წიგნაკი, განათლების, მუშაობისა და სტაჟის საბუთები.

17. საბავშვო სახლის სხვა მუშაკებს და ტექნიკურ პერსონალს ნიშნავს და ანთავისუფლებს საბავშვო სახლის დირექტორი.

18. საბავშვო სახლის დირექტორს ახალი თანამშრომლების მიღება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისაღები პირი წარუდგენს მას შრომის წიგნაკსა და პასპორტს ან დროებით მოწმობას.

19. ის პირნი, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, ვალდებულნი არიან შრომის წიგნაკის ნაცვლად წარმოადგინონ სახლმმართველობის ან სოფლის საბჭოს ცნობა მათი უკანასკნელი საქმიანობის შესახებ.

20. იმ პირებზე, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, საბავშვო სახლმა შრომის წიგნაკები უნდა შეავსოს არა უგვიანეს ხუთი დღისა მათი სამუშაოზე მიღებიდან.

საბავშვო სახლის ყველა მუშაკის შრომის წიგნაკებს ინახავს საბავშვო სახლის ადმინისტრაცია ცეცხლგამძლე (უწვი) შკაფში ან ყუთში. მუშაკის განთავისუფლებისას კი წიგნაკი მას ეძლევა ხელზე.

21. საბავშვო სახლში შეთავსებით მომუშავე პირთა შრომის წიგნაკები ინახება იქ, სადაც ისინი ძირითადად მუშაობენ.

22. საბავშვო სახლის თითოეულ მუშაკზე დღიდან მისი სამუშაოზე მიღებისა უნდა შესდგეს პირადი საქმე.

პირად საქმეში შედის შემდეგი საბუთები: მიღებული განათლების დამამტკიცებელი საბუთი ან მისი ასლი, სანოტარო კანტორის

მიერ დამოწმებული, ბრძანება მუშაკის საბავშვო სახლში დანიშვნის შესახებ, ავტობიოგრაფია, სააღრიცხვო ბარათი, ბრძანება ან დადგენილება მადლობის გამოცხადების, ან სასჯელის დადების შესახებ და ცნობები მუშაობის სტაჟის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ საბავშვო სახლის ყველა მუშაკის პირადი საქმე ინახება თვით საბავშვო სახლში. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილის, ბუხჰალტერის, აღმზრდელ-მასწავლებლების და სამნეო ნაწილის გამგის პირადი საქმეები ინახება განათლების განყოფილებაში. დანარჩენი მუშაკების პირადი საქმეები კი ინახება თვით საბავშვო სახლში.

23. აკრძალულია მუშაკის თვითნებურად წასვლა საბავშვო სახლიდან, აგრეთვე თვითნებურად გადასვლა საბავშვო სახლიდან სხვა დაწესებულებაში თუ საწარმოოში.

24. პედმუშაკების მიღება-განთავისუფლებას საბავშვო სახლის დირექტორი აფორმებს განსახკომის ბრძანებათა საფუძველზე. მიღება-განთავისუფლება ჩაიწერება ბრძანების წიგნში და შრომის წიგნაკში.

III. შრომითი განაწესი საბავშვო სახლში და მუშაკთა მოვალეობანი.

25. მუშაობის დაწყების, დამთავრების და შესვენების (სადილის მისაღებად) დროდ წესდება:

მუშაობის დაწყება . . . . . I წყება . . . . . II წყება . . . . . III წყება . . . . შესვენება . . . . მუშაობის დამთავრება . . . . .

26. თითოეული თანამშრომელი მუშაობს საბავშვო სახლის დირექტორის მიერ შემუშავებულ და ადგილკომთან შეთანხმებული ცხრილის მიხედვით თანამშრომლის მოვალეობათა და საბავშვო სახლის რეჟიმის შესაბამისად. მუშაობის ცხრილი დროულად მზადდება, თითოეულ თანამშრომელს გამოეცხადება ხელწერილ ქვეშ და გამოიკვრის თვალსაჩინო ადგილზე.

27. საბავშვო სახლის დირექტორი ვალდებულია უზრუნველჰყოს თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადების და სამუშაოდან გასვლის ზუსტი რეგისტრაცია.

როგორც გამოცხადება, ისე წასვლა, აღინიშნება სათანადო წიგნში, რომლის წარმოება და შენახვა დაეკისრება საბავშვო სახლის პასუხისმგებელ პირს, გამოყოფილს საბავშვო სახლის დირექტორის ბრძანებით.

28. სამუშაო დროს წასვლა სამსახურის საქმეებზე, ავადმყოფობისა ან სხვა საპატიო მიზეზის გამო დასაშვებია მხოლოდ საბავშვო სახლის დირექტორის ნებართვით. ამ შემთხვევაში თითოეული თანამშრომელი, აგრეთვე თვით დირექტორი, ვალდებულია სპეციალურად შემოღებულ რვეულში აღნიშნოს—სად წავიდა, რა საქმეზე და რა ხნით. დაბრუნებაც იმავე რვეულში აღინიშნება მოსვლისთანავე.

29. თუ თანამშრომელი სამუშაოზე ვერ გამოცხადდება საპატიო მიზეზის გამო, ის ვალდებულია ამის შესახებ თავის დროზე აცნობოს ადმინისტრაციას, შემდეგ კი წარუდგინოს მას გასამართლებელი საბუთები (ბიულეტენი ან სხვა).

30. მუშაობის ცხრილის ან ერთი თანამშრომლის მეორეთი დროებით შეცვლა დაუშვებელია საბავშვო სახლის დირექტორის ან მისი არ ყოფნის დროს მისი მოადგილის ნებართვის გარეშე.

31. საბავშვო სახლის დირექტორი ვალდებულია საბავშვო სახლიდან ერთ დღეზე მეტი დროით წასვლის შემთხვევაში ნებართვა მიიღოს საქ. სსრ განსახკომის საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების სამმართველოდან.

32. სამუშაო დროს საზოგადოებრივი მუშაობის, კრების, თათბირის და სხვ. ჩატარება დაუშვებელია.

33. საბავშვო სახლის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია მზრუნველობით მოეპყრას სახლის ქონებას და დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციას ქონების განიავების, დამტვრევა-გაფუჭების ან დაკარგვის შესახებ.

ქონებისადმი დაუდევრად მოპყრობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სახელმწიფო საკუთრების დაცვის შესახებ არსებული კანონის თანახმად.

საბავშვო სახლის მუშაკს არა აქვს უფლება თავისი საჭიროებისათვის გამოიყენოს სახლის ქონება.

34. საბავშვო სახლის მთელმა ტექნიკურმა პერსონალმა სისტემატურად უნდა გაიაროს სანიტარიული შემოწმება.

35. საბავშვო სახლის მუშაკებს ადმინისტრაცია ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიყენებს პირადი საჭიროებისათვის, პირადი დავალების შესასრულებლად, აგრეთვე ისეთი სამუშაოს შესასრულებლად, რაც თანამშრომლის პირდაპირ სამსახურებრივ მოვალეობას არ წარმოადგენს.

36. საბავშვო სახლის მუშაკები ვალდებულნი არიან სისტემატურად აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია, რისთვისაც საბავშვო სახლის დირექტორმა უნდა უზრუნველჰყოს სათანადო პირობები.

37. საბავშვო სახლის ადმინისტრაცია ვალდებულია თანამშრომლებს შეუქმნას ნორმალური პირობები მუშაობისათვის, შენობა იქონიოს სუფთად, უზრუნველჰყოს ნორმალური ტემპერატურა შენობაში, თანამშრომელთა ზედა ტანსაცმელის დაცვა-შენახვა და სხვა.

38. საბავშვო სახლის დირექტორი და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ვალდებულნი არიან გულისხმიერად მოეპყრან თანამშრომელთა ყოველდღიურ მოთხოვნილებას, მიიღონ ზომები თანამშრომელთა უზრუნველსაყოფად ბინებით და სათბობი მასალით, უზრუნველჰყონ კვების ორგანიზაცია (განსაკუთრებით სოფლად), იზრუნონ მათ დასვენებაზე, მკურნალობაზე და სხვა.

IV. საბავშვო სახლის დირექტორი

39. საბავშვო სახლის დირექტორად დაინიშნება ის პირი, რომელსაც მიღებული აქვს არა ნაკლები საშუალო-პედაგოგიური განათლებისა, პედსტაჟით არა ნაკლები სამი წლისა.

40. საბავშვო სახლის დირექტორი ერომმართველობის საფუძველზე ხელმძღვანელობს საბავშვო სახლის მთელ საქმიანობას და სრული პასუხისმგებელია როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი, ისე ადმინისტრატიულ-სამეურნეო მუშაობისათვის. ამისდამიხედვით საბავშვო სახლის დირექტორს ეკისრება:

ა) უხელმძღვანელოს აღმზრდელთა ყოველდღიურ მუშაობას და განახორციელოს მათი სამუშაო გეგმების სისტემატური კონტროლი და შემოწმება;

ბ) უხელმძღვანელოს საბავშვო სახლის პედსაბჭოსა და ბავშვთა საბჭოს;

გ) განახორციელოს ღონისძიებანი პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

დ) დააკომპლექტოს საბავშვო სახლი ტექნიკურ მუშაკთა პერსონალით;

ე) იზრუნოს ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა სასწავლებლებსა და წარმოებებში ორგანიზებულად მოწყობაზე. კავშირი დაამყაროს გამოშვებულ აღსაზრდელებთან;

ვ) შეადგინოს და ცხოვრებაში გაატაროს საბავშვო სახლის სასწავლო-საალმზრდელო და სამეურნეო მუშაობის წლიური გეგმა, დაამტკიცოს საბავშვო სახლის მუშაკთა მეოთხედური გეგმები, და ამ უკანასკნელის საფუძველზე იქონიოს დირექტორის მუშაობის მეოთხედური გეგმა;

ზ) როგორც კრედიტების განმკარგულებელმა უხელმძღვანელოს სახსრების ხარჯვას ხარჯთაღრიცხვის მიხედვით და უზრუნველჰყოს შენობათა დროული რემონტი, ავეჯის, ჭურჭლის, საწოლების, ტანსაცმელ-ფეხსაცმელისა და სასწავლო ნივთების შეძენა. უზრუნველჰყოს საბავშვო სახლი სათბობი მასალითა და განათებით, განახორციელოს ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი;

თ) იზრუნოს ბავშვთა დროულ და მაღალხარისხოვან კვებაზე, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა-განმტკიცებაზე;

ი) სისტემატური კავშირი დაამყაროს იმ სკოლასთან, რომელშიც საბავშვო სახლის ბავშვები სწავლობენ და მონაწილეობა მიიღოს სკოლის პედსაბჭოს მუშაობაში;

კ) დაუკავშირდეს ადგილობრივ საბჭოთა, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საბავშვო სახლის ყველა საკითხზე;

41. საბავშვო სახლის დირექტორი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით ბავშვთა აღზრდისა და სწავლის საკითხებზე, საბავშვო სახლის დებულებით და საქ. სსრ ხანსახკომის ინსტრუქციულ-მეთოდური მითითებებით.

42. საბავშვო სახლის დირექტორის სამუშაო დღე არანორმირებულია. მისი შვებულების ხანგრძლივობა 36 სამუშაო დღით განისაზღვრება.

V. დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალაზრდელო დარგში

43. დირექტორის მოადგილედ სასწავლო-საალმზრდელო დარგში შეიძლება დაინიშნოს ისეთი პირი, რომელსაც აქვს არა ნაკლებ საშუალო პედაგოგიური განათლებისა და პედსტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა.

44. საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია მთელი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის.

45. დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში ვალდებულია:

ა) სისტემატური ინსტრუქტაჟი გაუწიოს აღმზრდელებს და შეამოწმოს მათი მუშაობა, რისთვისაც ის ესწრება ყველა სახის მეცადინეობას, ამოწმებს ბავშვებთან მუშაობას საშინაო დავალებების შესრულებაზე, ამოწმებს საალმზრდელო ჯგუფის ჟურნალებს და აღმზრდელთა მეოთხედურ და დღიურ გეგმებს, აღსაზრდელთა ნამუშევრებს და სხვა;

ბ) სისტემატურად აღრიცხოს აღსაზრდელთა სასკოლო მოსწრება და კავშირი დაამყაროს იმ სკოლასთან, რომელშიც საბავშვო სახლის ბავშვები სწავლობენ, მონაწილეობა მიიღოს სკოლის პედსაბჭოს მუშაობაში;

გ) შეადგინოს საბავშვო სახლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ცხრილი სასწავლო წლის მეოთხედების მიხედვით და წარუდგინოს დირექტორს დასამტკიცებლად;

დ) მოაწესრიგოს საბავშვო სახლის მეთოდური მუშაობა, შერჩევა, აღრიცხვა, განაწილება და შენახვა სასწავლო ნივთებისა, მეთოდური მასალებისა და სასწავლო მეთოდური ლიტერატურისა;

ე) უხელმძღვანელოს კულტურულ-მასობრივ მუშაობას ბავშვებთან (სამხედრო-თავდაცვითი და ბავშვთა სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობას);

ვ) მოაწესრიგოს აღსაზრდელთა მოძრაობის აღრიცხვის საქმე საბავშვო სახლში და განსაკუთრებული ხელმძღვანელობა გაუწიოს ახლად მოსულ აღსაზრდელის საბავშვო სახლის ცხოვრებაში ჩაბმის საქმეს;

ზ) უხელმძღვანელოს ბავშვთა პირადი საქმეების სწორ წარმოებას;

თ) იქონიოს დირექტორის მიერ დამტკიცებული მეოთხედური მუშაობის გეგმა, შედგენილი საბავშვო სახლის წლიური სასწავლო-საალმზრდელო გეგმის საფუძველზე;

ი) დირექტორის მოადგილის (სასწავლო-საალმზრდელო დარგში) სამუშაო დღე არანორმირებულია.

VI. საბავშვო სახლის აღმზრდელი

46. საბავშვო სახლის აღმზრდელად დაინიშნება ის პირი, რომელსაც მიღებული აქვს საშუალო პედაგოგიური განათლება.

47. საბავშვო სახლის აღმზრდელი ატარებს სასწავლო საალმზრდელო მუშაობას ბავშვებთან, ზრუნავს მათი ჯანმრთელობისათვის და ყოველმხრივ განვითარებაზე კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესაბამისად.

აღმზრდელი ვალდებულია:

ა) პასუხი აგოს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობისათვის მასზე ჩაბარებულ ბავშვთა საალმზრდელო ჯგუფში. ყოველმხრივ შეისწავლოს თავისი ჯგუფის თითოეული ბავშვი, მზრუნველობითა და ყურადღებით მოეპყრას ბავშვებს და პასუხი აგოს საბავშვო სახ-

ლიდან აღსაზრდელთა გაპარვისათვის, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის;

ბ) სისტემატურად უხელმძღვანელოს ბავშვების მუშაობას საშინაო დავალებების შესრულებაზე, იმუშაოს ჩამორჩენილობის თავიდან ასაცილებლად და აწარმოოს დამატებითი სასწავლო მეცადინეობა ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, ასწავლოს ბავშვებს გაკვეთილების დამოუკიდებლად დამზადება, სახელმძღვანელოებზე მუშაობა, წიგნისა და სასწავლო ნივთებისადმი წესიერი მოპყრობა, დღიურების სუფთად წარმოება და რვეულების სუფთად შენახვა;

გ) აწარმოოს სკოლის გარეშე მუშაობა თავისი სააღმზრდელო ჯგუფის ბავშვებთან—კლასგარეშე კითხვა, თხრობა, ექსკურსია, სეირნობა, თამაში და სხვა სახის ძასობრივი და საწრეო მუშაობა;

დ) დაამყაროს მუდმივი კავშირი კლასის ხელმძღვანელებთან და სკოლის მასწავლებლებთან;

ე) ყოველდღიურად იმუშაოს ჩაბარებულ ბავშვების პოლიტიკურ აღზრდაზე;

ვ) უხელმძღვანელოს ბავშვთა თვითმმართველობით მუშაობას, ბავშვებში დანერგოს სანიტჰიგიენური ჩვევები და განამტკიცოს სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი მზრუნველობა;

ზ) უზრუნველჰყოს სათანადო ყურადღება, როდესაც ბავშვები თამაშობენ;

თ) შეადგინოს ბავშვებთან მუშაობის გეგმები და ჩატარებული მუშაობის ანგარიში, აიმაღლოს თავისი პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაცია;

ი) საბავშვო სახლში მორიგეობის დროს აღმზრდელი ვალდებულია;

კ) მორიგეობის შედგომისას ჩაიბაროს საბავშვო სახლის დღიური და აღნიშნოს შიგ საბავშვო სახლისა და აღსაზრდელთა ჩაბარება ხელის მოწერით;

ლ) პასუხი აგოს საბავშვო სახლის ქონების დაცვაზე და აღსაზრდელთა რაოდენობაზე;

მ) თვალყური ადევნოს საბავშვო სახლში დღის რეჟიმის ზუსტად გატარებასა და თანამშრომელთა და აღსაზრდელთა საქმიანობას;

ნ) აწარმოოს საბავშვო სახლის დღიური და შეიტანოს შიგ მისი მორიგეობის დროს მომხდარი არსებითი ხასიათის ცვლილებები საბ. სახლში, როგორიც შეიძლება იყოს, მაგ. დღის რეჟიმის ჩაშლა, თანამშრომელთა და აღსაზრდელთა შინაგანაწესის დარღვევა, აღსაზრდელთა გაპარვა და ავადმყოფობა, საბავშვო სახლის ქონების გაფუჭება, დაკარგვა და სხვა ასეთები.

შენიშვნები ჩაწეროს დღიურში სუფთად და გარკვევით და მორიგეობის გადაბარებისას მოაწეროს ხელი გადაბარებაზე.

48. პიონერ-ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პიონერ-რაზმის მუშაობისათვის საბავშვო სახლში. აქტიურად მონაწილეობს საბ. სახლის მთელ პოლიტაღმზრდელობით მუშაობაში, მუშაობას აწარმოებს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე, თავის სამუშაო გეგმას დასამტკიცებლად უდგენს საბავშვო სახლის დირექტორს. ატარებს ბავშვებთან მუშაობას საბავშვო სახლში და მის გარეთ. პიონერ-ხელმძღვანელი ვალდებულია დაიცვას საბავშვო სახლში შემოღებული შინაგანაწესი.

პიონერ-ხელმძღვანელის სამუშაო დღე 8 საათით განისაზღვრება, მისი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 36 სამუშაო დღით.

VII. შრომის ინსტრუქტორი

49. შრომის ინსტრუქტორი ვალდებულია:

ა) არსებული პროგრამების მიხედვით სისტემატურად ჩაატაროს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოში;

ბ) იქონიოს სამუშაო გეგმები, წლიური და მეოთხედების მიხედვით შედგენილი, აწარმოოს მიმდინარე აღრიცხვა, შეაფასოს აღსაზრდელის მუშაობა, შეადგინოს ანგარიში თავისი მუშაობის შესახებ;

გ) მუშაობის დასაწყებად მოამზადოს დაზგები, მოწყობილობა, სამუშაო ადგილები, მოსწავლეები უზრუნველჰყოს ნახაზებითა და ინსტრუქციული რუკებით, საბავშვო სახლის ადმინისტრაციას თავის დროს წარუდგინოს განაცხადები სახელოსნოსათვის საჭირო მასალებისა და ხელსაწყოებზე;

დ) თვალყური ადევნოს მოსწავლეთა სამუშაო ადგილების მდგომარეობას, მოწყობილობას, ხელსაწყოებს და პასუხი აგოს მათი მოვლა-დაცვისათვის;

ე) უზრუნველჰყოს შრომის დისციპლინა ბავშვთა შორის, როგორც მეცადინეობის, ისე დასვენების დროს;

ვ) მონაწილეობა მიიღოს საბავშვო სახლის პედსაბჭოს მუშაობაში;

ზ) წარადგინოს ცნობები დახარჯული მასალის რაოდენობაზე, დახარჯული სამუშაო დროზე და პასუხი აგოს მოსწავლეთა მიერ სამუშაოს დროულად შესრულებისათვის პროგრამით გათვალისწინებული საათების მიხედვით.

50. შრომის ინსტრუქტორის მუშაობის ნორმა დღეში 8-საათია, მისი შვებულების ხანგრძლივობა 36 სამუშაო დღით განისაზღვრება.

51. წრის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) იქონიოს მტკიცე სია წრის წევრებისა და მუშაობის ყოველდღიური და მეოთხედური გეგმები;

ბ) აწარმოოს სისტემატური და ნაყოფიერი მუშაობა არსებული გეგმის მიხედვით;

გ) აწარმოოს როგორც მიმდინარე, ისე მეოთხედური აღრიცხვა საწრეო მუშაობისა.

VIII. ექიმი

52. ექიმს ევალება:

ა) ბავშვთა საექიმო შემოწმება წელიწადში 2-ჯერ და საამისო ჟურნალის წარმოება, მედსანიტარული რუკის შედგენა თითოეულ ბავშვზე;

ბ) ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სისტემატური კონტროლი (ბავშვების გასინჯვა რეგულარულად, აწონა და სხვა);

გ) საბავშვო სახლის მუშაობის სანიტ-ჰიგიენური მდგომარეობისადმი თვალყურის დევნება და სათანადო ღონისძიებების დასახვა;

დ) საკვები პროდუქტების ხარისხის შემოწმება და მონაწილეობა მენიუს შედგენაში;

ე) პროფილაქტიურ ღონისძიებათა გატარება და სამკურნალო დახმარების გაწევა აღსაზრდელთათვის;

ვ) გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ორგანიზაცია და სანიტ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება აღსაზრდელთა და საბავშვო სახლის პერსონალს შორის.

IX. ექთანი

53. ექთანი მუშაობს ექიმის ხელმძღვანელობით. ექიმთან ერთად პასუხისმგებელია საბავშვო სახლისა და აღსაზრდელთა სანიტ-ჰიგიენური მდგომარეობისათვის. ექთანი მუშაობს საექიმო იზოლიატორში და ვალდებულია დაიცვას მასში წესრიგი და სისუფთავე და თვალყური ადევნოს რეჟიმის დაცვას ავადმყოფების მიერ.

ექთანი მოვალეა პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინოს ბავშვებსა და საბავშვო სახლის თანამშრომლებს და იზრუნოს მედიკამენტებისა და შესახვევი მასალის შეძენაზე.

ექთანის მუშაობის ნორმა დღეში 6 საათია, შვებულების ხანგრძლივობა—12 სამუშაო დღით განისაზღვრება.

X. ღამის მორიგე

(აღმზრდელი სასკოლო ტიპის სახლში და ძიძა სკოლამდელ საბავშვო სახლში)

54. ღამის მორიგე სრული პასუხისმგებელია ღამის განმავლობაში ბავშვთა საძინებელ ოთახებში და საბავშვო სახლის სხვა ოთახებში წესრიგის დაცვისათვის.

55. ღამის მორიგე ვალდებულია:

ა) მუშაობის დაწყებამდე მორიგე აღმზრდელისაგან ჩაიბაროს ბავშვები და სახლის ქონება. ყველაფერი რაც საჭიროა, შეიტანოს წიგნში გადამბარებლის თანდასწრებით და ხელი მოაწეროს მორიგეობის მიღების დროს აღმოჩენილ უწესრიგობის შესახებ, დაუყოვნებლივ აცნობოს საბავშვო სახლის დირექტორს ან მის მოადგილეს;

ბ) ღამის განმავლობაში თვალყური ადევნოს წესრიგს ბავშვთა საძინებელ ოთახებში, ნიშნის მიცემის შემდეგ დააწვინოს ბავშვები, არ დაუშვას მუსაიფი, ხმაური და უსაქმოდ გამოსვლა საძინებელ ოთახიდან;

გ) თვალყური ადევნოს განათებას საძინებელ ოთახებსა და სხვა შენობაში (საძინებელ ოთახებში—ღამის ნათურებია, დანარჩენ შენობებში—დაკლებული განათება), ტემპერატურას და ჰაერის სისუფთავეს, განსაკუთრებით იქ, სადაც ღუმელები ინთება. რომ თავიდან იქნას აცილებული მხუნი, საპირფარეშოში ბავშვები გაუშვას მხოლოდ სათანადოდ ჩაცმულები;

დ) ექიმის მითითების თანახმად თავის დროზე გააღვიძოს შარდის შეუკავებლობით დაავადებული ბავშვები, განსაკუთრებულად თვალყური ადევნოს ბავშვებს, რომლებსაც ცუდად სძინავთ (დგებიან საწოლიდან, ბოდავენ და სხვა);

ე) იცოდეს ხანძრის საწინააღმდეგო წესები. საბავშვო სახლის მიერ შემუშავებული გეგმა—ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი, თვალყური ადევნოს მათ შესრულებას, იცოდეს ცეცხლმქრობის ხმარება, სახანძრო ნაწილის ტელეფონის ნომერი, ექიმის ტელეფონი ან მისამართი, აგრეთვე საბავშვო სახლის დირექტორის ან მისი მოადგილის ტელეფონი და მისამართი;

ვ) მორიგეობის დამთავრებისას ჩააბაროს ბავშვები და ქონება მორიგე აღმზრდელს სამორიგეო წიგნში სათანადო ჩაწერის შეტანით.

ღამის მორიგის შვებულების ხანგრძლივობა 12 სამუშაო დღით განისაზღვრება.

XI. სამნეო ნაწილის გამგე

56. სამნეო ნაწილის გამგეს ეკისრება საბავშვო სახლის მთელი სამნეო საქმიანობის წარმოება.

ა) ინვენტარის შეძენა და შენახვა;

ბ) შენობის, ავეჯისა და სხვა ინვენტარის რემონტი;

გ) საბავშვო სახლის უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმელ-ფეხსაცმელით, სათბობი მასალით, განათებითა და სახელოსნოებისათვის საჭირო მასალებით;

დ) ტექნიკური პერსონალის მუშაობის ორგანიზაცია და კონტროლი;

ე) პასუხისმგებლობა ქონების დაცვისათვის და ინვენტარის სწორად გამოყენებისათვის;

ვ) ხანძრის საწინააღმდეგო წესების დაცვა და სახანძრო ნაწილის მოთხოვნათა შესრულება;

ზ) პასუხისმგებლობა საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობაში მუშაობის სათანადო წარმოებისათვის, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და სხვა ქონების დაცვისათვის, დამხმარე მეურნეობიდან მიღებული პროდუქტების სწორად განაწილებისათვის.

57. სამნეო ნაწილის გამგის სამუშაო დღე არანორმირებულია, შვებულების ხანგრძლივობა 12 სამუშაო დღით განისაზღვრება.

XII. ბუხჰალტერი

58. ბუხჰალტერი აწარმოებს საფინანსო-მატერიალურ ანგარიშგებას და დირექტორთან ერთად პასუხს აგებს ფულადი სახსრების სისწორით ხარჯვისა და მატერიალურ ფინანსიური ანგარიშგების საქმის მდგომარეობისათვის.

59. ბუხჰალტერის სამუშაო დღე არანორმირებულია, მისი შვებულების ხანგრძლივობა 12 სამუშაო დღით განისაზღვრება.

XIII. საწყობის გამგე

60. საწყობის გამგე პასუხს აგებს ჩაბარებული საწყობის დაცვისათვის, საწყობის სანიტარული მდგომარეობისა და საწყობიდან ნივთის, საქონლის, სურსათ-სანოვაგის, თეთრეულის, ტანსაცმელის, ფეხსაცმელის მთლიანობისა და გაცემის სისწორისათვის.

საწყობის გამგე ვალდებულია თავის დროზე აცნობოს საბავშვო სახლის დირექტორს ან სამნეო ნაწილის გამგეს საწყობის შევსების საჭიროების შესახებ სურსათ-სანოვაგით ან სამრეწველო ნივთებით.

ა) აწარმოოს საწყობის ქონების შემოსავალ-გასავლის წიგნი;

ბ) შეადგინოს და აწარმოოს არმატურული სიები, თითოეულ აღსაზრდელზე ცალ-ცალკე გამოყოს (დაშტამპოს) მათი თეთრეული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და არ დაუშვას შერეული ხმარება;

გ) გასარეცხად ჩააბაროს თეთრეული, ჩაიბაროს გარეცხილი და აწარმოოს გარეცხილისა და ჩაბარებულის აღრიცხვა;

დ) საბავშვო სახლის უვარგისი ქონების, ბაგარი ინვენტარის, სამრეწველო საქონლის (თეთრეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ქვეშაგების და სხვ.) ჩამოწერა უნდა მოახდინოს სათანადო აქტის შედგენით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს განათლების კომისარიატის წარმომადგენელი;

ე) მოეწყოს თეთრეულისა და ზედატანსაცმლის დროულად შეკეთება, დაუთავება და გაწმენდა.

თეთრეულის გამგე მუშაობს დღეში რვა საათს, მისი შვებულების ხანგრძლივობა 12 სამუშაო დღით განისაზღვრება.

XIV. მზარეული

61. მზარეული პასუხისმგებელია საჭმლის თავის დროზე და ხარისხიანად მომზადებისათვის, ექიმთან და მორიგე აღმზრდელთან ერთად მზარეული ადგენს მენიუს,—ღებულობს საწყობიდან სურსათსანოვაგეს, აწარმოებს მათ აღრიცხვას, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს მომუშავეთა მუშაობას სამზარეულოში, პასუხისმგებელია სამზარეულოს ჭურჭლისა და მთელი სამზარეულო ინვენტარის სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის საქმეში.

62. მზარეულის სამუშაო დღე განისაზღვრება 8 სათით, შვებულების ხანგრძლივობა კი 18 სამუშაო დღით.

XV. მზარეულის თანაშემწე

63. მზარეულის თანაშემწე ეხმარება მზარეულს საჭმლის მომზადებაში, რეცხავს ჭურჭელს და აწესრიგებს სამზარეულოს, აწვდის საჭმელს მორიგეებს, სცვლის მზარეულს გამოსასვლელ დღეებში.

მზარეულის თანაშემწის სამუშაო დღე რვა საათით განისაზღვრება, შვებულების ხანგრძლივობა კი—12 სამუშაო დღით.

XVI. დამლაგებელი

64. დამლაგებელი პასუხისმგებელია საბავშვო სახლის შენობაში სისუფთავის დაცვისათვის, თავის დროზე მისი დალაგებისათვის. დამლაგებელს მიაქვს საჭმელი (ჯგუფების მიხედვით) და ეხმარება მის დარიგებაში სკოლამდელ საბავშვო სახლს, ალაგებს ჭურჭელს და მოაქვს გადადუღებული წყალი სასმელად. ბავშვების ადგომამდე ასუფთავებს პი-

რისაბნებს და ავსებს წყლით, და მთელ საბავშვო სახლში აღმზრდელებს ეხმარება პატარა ბავშვების ჩაცმა-გახდაში, ამზადებს ლოგინებს დაწოლის წინ და ალაგებს ადგომისას.

დამლაგებლის სამუშაო დღე რვა საათით განისაზღვრება, შვებულების ხანგრძლივობა კი 12 სამუშაო დღით.

XVII. მ რ ე ც ხ ა ვ ი

65. მრეცხავი ღებულობს გასარეცხ თეთრეულს, პასუხისმგებელია მისი ხარისხიანად გარეცხვასა, დაუთოვებისა და მთლიანობის დაცვის საქმეში.

მრეცხავის სამუშაო დღე რვა საათით განისაზღვრება, შვებულების ხანგრძლივობა 12 სამუშაო დღით.

XVIII. მ ე ე ზ ო ვ ე

66. მეეზოვე ვალდებულია სუფთად შეინახოს ეზო და ტროტუარები, თვალყური ადევნოს სახურავების თავის დროზე ჩამოწმენდას, სანაგვე ორმოებისა და სანაგვე ყუთების გაწმენდას, ჩაატაროს ეზოს საპირფარეშოებს დეზინფექცია. დაიცვას ეზოს სამეურნეო ინვენტარი.

მეეზოვე მუშაობს დღეში რვა საათი. მისი შვებულების ხანგრძლივობა 12 სამუშაო დღით განისაზღვრება.

XIX. ღ ა მ ი ს დ ა რ ა ჯ ი
(შეთავსებით მეეზოვე)

67. ღამის დარაჯი იცავს საბავშვო სახლს ღამის 23-საათიდან შემდეგი დღის 7-საათამდე. მას არა აქვს დაძინების უფლება. ღამის დარაჯი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოსასვლელი დღით. მისი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით.

68. მეღუმელე ვალდებულია:

ა) დაწესებულ დროისათვის აანთოს ღუმელები;

ბ) ზუსტად დაიცვას წესი ღუმელების ანთებისა;

გ) გაუწიოს სისტემატური მეთვალყურეობა ანთებულ ღუმელებს.

69. საბავშვო სახლის მუშაკებს ხელფასი ეძლევა თვეში ორჯერ, ხელფასი გაიცემა არასამუშაო საათებში. ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გასცეს ხელფასი საბავშვო სახლში მუშაობის დაწყებამდე ან მუშაობის დამთავრების შემდეგ.

XX. სასჯელი შინაგანაწესის დარღვევისათვის

70. შრომის დისციპლინის დაცვა და პასუხისმგებლობა წესების დარღვევის წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღებისათვის პერსონალურად ეკისრება საბავშვო სახლის დირექტორს, რომელსაც უფლება აქვს დაადოს სასჯელი არსებული კანონის მიხედვით დისციპლინის დამრღვევს.

71. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მუშაკებს დაედებათ შემდეგი სასჯელი:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) სხვა სამუშაოზე დაბალი ხელფასით გადაყვანა ვადით 3-თვეზე ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება;

ე) დათხოვნა.

72. მუშაკს, რომელმაც დაუშვა სამუშაოზე დაგვიანება საპატიო მიზეზის უქონლად, რაც 20 წუთს არ აღემატება, ან ნაადრევად წავიდა სადილად, ან ნასადილევს დაგვიანებით მოვიდა, ან ნაადრევად წავიდა საბავშვო სახლიდან, ან უსაქმურობდა სამუშაო დროს, ადმინისტრაციის მიერ დაედება სასჯელი.

73. მუშაკი, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში დაუშვა სამი ასეთი დარღვევა, ან ოთხი დარღვევა ორი თვის განმავლობაში ზედიზედ (77), ან რომელმაც დაუშვა საპატიო მიზეზის უქონლად დაგვიანება 20 წუთზე ზევით, დაუყოვნებლივ მიეცემა პასუხისგებაში, სათანადო უბნის სახალხო სასამართლოზე გადაცემით.

თუ უნებართვოდ სამუშაო დასტოვა, ან საპატიო მიზეზის უქონლად სამუშაო გააცდინა, საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილემ, მასწავლებელმა ან სახლის სხვა მუშაკმა, [საბავშვო სახლის დირექტორი ვალდებულია დამნაშავის სამართალში მიცემის მიზნით საქმე ყველა მასალით დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს სათანადო უბნის სახალხო სასამართლოს.

74. დისციპლინარული სასჯელის დადება ფორმდება ბრძანების წიგნში და სავალდებულოა თანამშრომელს ხელწერილქვეშ გამოეცხადოს დადგენილი სასჯელის შესახებ.

შენიშვნა: არ შეიძლება დისციპლინარული სასჯელის გამოტანა მომუშავის დაუსწრებლად, საჭიროა მისი გამოძახება და ახსნაგანმარტების მოსმენა.

75. საბავშვო სახლის ადმინისტრატია სასჯელს ადებს წესების დარღვევის შემჩნევისთანავე, სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება.

ადმინისტრაციის მიერ სასჯელის დადება არ დაიშვება, უკეთუ დანაშაულის გამომჟღავნების დღიდან განვლო ერთმა თვემ.

76. თუ სასჯელის—შენიშვნის, საყვედურის და სასტიკი საყვედურის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშამ ან მოსამსახურემ არ დაუშვა შრომის დისციპლინის ახალი დარღვევა, საბავშვო სახლის დირექტორი ხსნის დადებულ სასჯელს.

თუ თანამშრომელმა არ დაუშვა შრომის დისციპლინის ახალი დარღვევა და თანაც თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, მაშინ საბავშვო სახლის დირექტორს შეუძლია აღარ დაუცადოს ერთი წლის გავლას და მოხსნას მის მიერ დადებული სასჯელი.

77. საბავშვო სახლის დირექტორის მიერ დადებული სასჯელი, შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მომუშავის მიერ ადმინისტრაციული წესით ან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სახალხო სასამართლოში.

78. შინაგანაწესის დარღვევისათვის ან სხვა მიზეზის გამო მომუშავის დათხოვნის შემთხვევაში დათხოვნის ნამდვილი მიზეზი აუცილებლად შეიტანება მუშაკის შრომის წიგნაკში, რაც ფორმულირებულ უნდა იქნეს ზუსტად შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად ან დათხოვნის საფუძვლად უნდა იქნას დასახელებული შრომის კანონთა კოდექსის სათანადო მუხლი და პუნქტი.

79. შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, აგრეთვე სამუშაოს გამცდენთა, ფრენიათა და დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის დამნაშავენი საბავშვო სახლის დირექტორები მიეცემიან პასუხისგებაში სამსახურიდან მოხსნამდე და სასამართლოზე გადაცემამდეც კი.

80. საბავშვო სახლის კუთვნილი ქონების მოპარვისათვის მუშაკი მიეცემა სასამართლოს პასუხისგებაში სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად

81. საბავშვო სახლში ხულიგნურ მოქმედებისათვის მუშაკი მიეცემა სასამართლოს პასუხისგებაში სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

განათლების სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლებისა და სპეც. სკოლების სამმართველოს უფროსი **თ. ჯუოლია.**	დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ც. კომიტეტის პ/მგ. მდივანი **ვ. კეშელავა.**

1945 წ.

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების სახალ-
ხო კომისარი ვ. **კუპრაძე.** 1945 წ.
„13“ ივნისი

ინსტრუქცია

სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის დასამთავრებელ გამოცდის ექსტერნად ჩაბარებისა და პედმინიმუმის შესახებ

§ 1

ექსტერნის წესით სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 17 წელზე მეტი ასაკის პირნი, რომელთაც არა აქვთ დამთავრებული საშუალო პედაგოგიური სასწავლებელი და სურვილი აქვთ იმასწავლებლონ დაწყებით სკოლაში.

შენიშვნა: ექსტერნის წესით გამოცდებზე არ შეიძლება დაშვებულნი იქნან ის პირნი, რომლებიც ამჟამად სწავლობენ პედსასწავლებლებში, საშუალო სკოლებში, ან სპეციალურ ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში.

§ 2

ის პირნი, რომლებიც ამჟამად მასწავლებლობენ, დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა, მაგრამ პედაგოგიური განათლება არ მიულიათ, გამოცდებს აბარებენ პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში და მშობლიური ენის, რუსული ენის, ისტორიის, არითმეტიკის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების მეთოდიკებში.

§ 3

ის პირნი, რომელთაც პედსასწავლებელი ან საშუალო სკოლა არ დაუმთავრებიათ, ატესტატის მისაღებად გამოცდებს აბარებენ ყველა დისციპლინაში, რომლებიც კი პედსასწავლებელში ისწავლება.

§ 4

ექსტერნების სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებლის ატესტატის მისაღებად გამოცდებს აბარებენ ქ. თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, მახარაძეში, ცხაკაიაში და სტალინირში.

§ 5

იმ პირთ, რომელთაც სურთ ექსტერნად ჩააბარონ გამოცდები სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის ატესტატზე, ამის შესახებ განცხადება შეაქვთ არა უგვიანეს პირველ მაისისა საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებით და საშუალო სკოლის სამმართველოს პედაგოგიური სასწავლებლის სექტორში. განცხადებას თანდართული უნდა ჰქონდეს ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა, მოწმობა ან ცნობა განათლების შესახებ და ორი ფოტოსურათი, საექსტერნო გამოცდებზე მათი დაშვების საკითხს სწყვეტს საქართველოს სსრ განსახკომი.

§ 6

ექსტერნები გამოცდებს აბარებენ სსსრ განსახკომის მიერ დამტკიცებულ საგამოცდო კომისიებს. ექსტერნების გამოცდები იწარმოებს პარალელურად უკანასკნელ კურსზე მიმდინარე გამოცდებისა; თუ აქსტერნთა რიცხვი 10-ზე ნაკლებია, მაშინ გამოცდების ჩაბარება წარმოებს დასამთავრებელ კურსთან ერთად იმავე საგამოცდო კომისიებში, ხოლო იმ საგნებში, რომელშიაც გამოცდები პედსასწავლებელში არ მიმდინარეობს, ეწყობა ცალკე გამოცდები ექსტერნებისათვის. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ექსტერნთა რიცხვი 10-ს აღემატება, — ექსტერნებისათვის სპეციალური კომისია იქმნება, კომისიას ამტკიცებს სსსრ განსახკომი.

§ 7

გამოცდებზე დაშვებულმა ექსტერნმა, რომელიც ყველა საგანში აბარებს გამოცდას, უნდა შეიტანოს 200 მანეთი ერთდროულად, ვინც მხოლოდ პედმინიმუმს აბარებს ის იხდის 100 მანეთს.

გამოც ის გადასახადისაგან თავისუფლდებიან:

ა) საბჭოთა კავშირის გმირები და მათი შვილები;

ბ) სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა და პარტიზანთა შვილები;

გ) სამამულო ომის ინვალიდები;

დ) წითელი არმიის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირნი;

ე) ინვალიდი პენსიონერები იმ შემთხვევაში, თუ პენსია, რომელსაც ისინი იღებენ, მათი არსებობის საშუალების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

§ 8

ექსტერნი, რომელიც გამოცდების დაწყებისათვის არ გამოცხადდა, ამ წელს გამოცდების ჩაბარების უფლებას კარგავს, ამასთანავე შეტანილი საფასური არ უბრუნდება.

§ 9

ცალკე დისციპლინებში გამოცდებისაგან თავისუფლდებიან ის ექსტერნები, რომლებიც წარმოადგენენ საბუთს იმის შესახებ, რომ მათ გავლილი აქვთ სრული კურსი ამ საგნებში და საბოლოო შეფასებით „3"-ზე ნაკლები ნიშანი არ აქვთ მიღებული, თუ ამის შემდეგ 5 წელზე მეტი არაა გავლილი.

§ 10

ყველა წერითი და ზეპირი გამოცდების ჩატარების წესი, ექსტერნებისათვის წარსადგენი მოთხოვნები, აგრეთვე მათი ზეპირი პასუხებისა და წერითი საგამოცდო ნამუშევრის შეფასება სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში გამოცდების ჩატარების შესახებ არსებული საერთო ინსტრუქციით განისაზღვრება.

§ 11

სახელმწიფო პედსასწავლებლის დასრულების ატესტატში, რომელიც ექსტერნებს ეძლევათ, იწერება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა იმ საგანში მიღებული ნიშანი, რომელშიაც სწარმოებს გამოცდები ექსტერნებისათვის.

ის მასწავლებლები, რომლებიც მხოლოდ პედმინიმუმზე აბარებენ გამოცდებს, ღებულობენ მოწმობას შესაფერისი ნიშნებით მხოლოდ ჩაბარებულ დისციპლინებში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ექტერნი რომელიმე საგანში გამოცდებისაგან განთავისუფლებულია (§9 ამავე ინსტრუქციის), ატესტატში ნიშნები ამ საგანში შეტანილი უნდა იქნეს ექსტერნის მიერ განათლების შესახებ წარმოდგენილ საბუთის საფუძველზე.

§ 12

ექსტერნისათვის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის ატესტატის, ვინც პედმინიმუმს აბარებს, იმისათვის მოწმობის მიცემის საკითხს საბოლოოდ სწყვეტს სსსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

§ 13

ექსტერნს, რომელმაც თუნდაც ერთ საგანში ვერ ჩააბარა გამოცდა, არავითარი საბუთი არ ეძლევა, ამასთან შეტანილი ფული არ უბრუნდება.

§ 14

ექსტერნები, რომელთაც ატესტატში ყველა სასწავლო საგანში აქვთ ნიშანი „5" და სწავლის გაგრძელებას მოისურვებენ, გამოცდების ჩაუბარებლად შედიან უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში (უნივერსიტეტში, პედაგოგიურ ინსტიტუტში და სამასწავლებლო ინსტიტუტში).

განსაკუთრებული ატესტატი უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში უგამოცდოდ შესვლის უფლებებით, მხოლოდ იმ ექსტერნებს მიეცემათ, რომელთა საგამოცდო წერითი ნამუშევრები მშობლიურ ენაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, და არითმეტიკაში განათლების კომისარიატის მიერ იქნება „5“-ზე შეფასებული.

§ 15

იმ პირთა ატესტატები, რომლებმაც ექსტერნად ჩააბარეს გამოცდები, საერთო სარეგისტრაციო წიგნში ტარდება, რომელშიაც გამოიყოფა ცალკე გვერდები სათაურით—„ექსტერნები“. აღინიშნება წელი და რიცხვი ატესტატის გაცემის და ეწერება ექსტერნებისათვის გაცემული ატესტატის რიგითი №:

§ 16

ამავე წიგნში გამოიყოფა ცალკე გვერდები პედმინიმუმ ჩაბარებულ პირებზე მოწმობის გაცემის შემთხვევებისათვის და მოწმობა ცალკე №-ით აღინიშნება.

§ 17

ექსტერნებისათვის პედსასწავლებლის დამთავრების ატესტატის და პედმინიმუმის მოწმობის გაცემის შემდეგ დგება ცალკე ანგარიში საერთო ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით და ეგზავნება საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის
დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს
უფროსი **უშ. ოგოლაძე.**

სახელმწიფო პედსასწავლებლების სექტორის
უფროსი **არ. ჩაჩიბაია.**

პ/მგ. რედაქტორი **მ. ბურჯულაძე.**

1 2ეგეთ
65/5.
46-33/5

შეკ. № 222. ტირაჟი 3.000. უე 00476. ხელმოწ. დასაბეჭდად 28/I-46 წ.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი, „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28